

სს „ნენსკრა ჰიდრო“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო
სტანდარტების შესაბამისი ფინანსური
ანგარიშგება

2018 წ. 31 დეკემბერი

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	2
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1	სს „ნენსკრა ჰიდრო“ და მისი საქმიანობა.....	7
2	კომპანიის საოპერაციო გარემო.....	9
3	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	10
4	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა	20
5	ახალი ან გადასინჯული სტანდარტების მიღება	21
6	ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები.....	22
7	ძირითადი საშუალებები და გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსი	25
8	წინასწარ გადახდილი ფინანსური დანახარჯები.....	27
9	ფული და ფულის ეკვივალენტები	27
10	გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები	28
11	წინასწარ გადახდილი და ანაზღაურებადი გადასახდები (ნეტო).....	28
12	კრედიტორული დავალიანება	28
13	სააქციო კაპიტალი	28
14	პერსონალის ხარჯები.....	29
15	სხვა საოპერაციო ხარჯები.....	29
16	ფინანსური დანახარჯები, ნეტო	30
17	რეალური ღირებულების გამჟღავნება.....	31
18	კაპიტალის მართვა	32
19	ფინანსური რისკის მართვა	33
20	ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა, შეფასების კატეგორიის მიხედვით.....	37
21	გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები.....	38
22	ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	40
23	შემდგომი მოვლენები.....	40
24	სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე.....	42
25	დამატებითი ფინანსური ინფორმაცია აშშ დოლარებში.....	45

სს „ნენსკრა ჰიდრო“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2018 წ. 31 დეკემბერი	2017 წ. 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	264,967	117,587
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსი	7	60,770	46,847
არამატერიალური აქტივები		255	67
წინასწარ გადახდილი ფინანსური დანახარჯები	8	27,725	19,806
სულ გრძელვადიანი აქტივები		353,717	184,307
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგი		21	28
წინასწარგადახდილი და ანაზღაურებადი გადასახადები		10,685	7,159
გადახდილი ავანსი	11	247	105
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	39,575	56,584
გასაყიდად გამოიზნული გრძელვადიანი აქტივები	10	14,650	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		65,178	63,876
სულ აქტივები		418,895	248,183
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	13	456,897	248,917
დაგროვილი დეფიციტი		(39,837)	(10,305)
სულ კაპიტალი		417,060	238,612
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	12	1,835	9,310
სხვა ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები		-	261
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,835	9,571
სულ ვალდებულებები		1,835	9,571
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		418,895	248,183

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2019 წ. 28 ივნისს:

სუნიანგ კიმი
აღმასრულებელი დირექტორი

იონგტაკ ჩოი
ფინანსური დირექტორი

სს „ნენსკრა ჰიდრო“

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი		-	-
პერსონალის ხარჯები	14	(4,951)	(4,044)
სხვა საოპერაციო ხარჯები	16	(16,656)	(6,131)
საოპერაციო ზარალი		(21,607)	(10,175)
ფინანსური დანახარჯები (ნეტო)	15	(203)	(1,749)
ზარალი, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(21,810)	(11,924)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის ზარალი		(21,810)	(11,924)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოსავალი, სულ		(21,810)	(11,924)

თანდართული განმარტებითი შენიშვნები, მოცემული გვერდებზე 5-29, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების
შემადგენელი ნაწილია.

სს „ნენსკრა ჰიდრო“

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

<i>ათასი ლარი</i>	<i>სააქციო კაპიტალი</i>	<i>დაგროვილი დეფიციტი</i>	<i>სულ კაპიტალი</i>
ნაშთი 2017 წ. 1 იანვარს	145,751	1,619	147,370
წლის ზარალი	-	(11,924)	(11,924)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის სრული ზარალი, სულ	-	(11,924)	(11,924)
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება (მე-13 შენიშვნა)	103,166	-	103,166
2017 წ. 31 დეკემბერს	248,917	(10,305)	238,612
წლის ზარალი	-	(21,810)	(21,810)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის სრული ზარალი, სულ	-	(21,810)	(21,810)
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება (მე-13 შენიშვნა)	207,980	(7,722)	200,258
2018 წ. 31 დეკემბერს	456,897	(39,837)	417,060

The accompanying notes on pages 5 to 29 are an integral part of these financial statements.

სს „ნენსკრა ჰიდრო“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
თანამშრომლებისა და მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(19,314)	(14,771)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(19,314)	(14,771)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	7	(134,654)	(60,380)
წინასწარგადახდილი ფინანსური	8		
დანახარჯებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(8,670)	(9,477)
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივების შესყიდვა		(7,488)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(150,812)	(69,857)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
სააქციო კაპიტალის გამოშვებიდან შემოსული ფულადი სახსრები	13	154,107	103,166
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		154,107	103,166
სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(990)	(2,920)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		56,584	40,966
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასასრულს	9	39,575	56,584

The accompanying notes on pages 5 to 29 are an integral part of these financial statements.

1 სს „ნენსკრა ჰიდრო“ და მისი საქმიანობა

სს „ნენსკრა ჰიდრო“ (შემდეგში „კომპანია“) სააქციო კომპანიაა, როგორც ეს დადგენილია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით და რეგისტრირებულია „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“, საიდენტიფიკაციო ნომრით: 405112220. კომპანია 2015 წლის 5 აგვისტოს დაფუძნდა იმ პროექტის განხორციელების მიზნით, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში, სვანეთში, მდინარე ნენსკრაზე ჰიდროელექტროსადგურის საინჟინრო პროექტის მომზადებას, დაფინანსებას, მშენებლობას, მფლობელობას, ოპერირებასა და მოვლა-შენახვას (შემდეგში „პროექტი“). კომპანია რეგისტრირებულია მისამართზე: მარჯანიშვილის ქ. 6, დიდუბის რაიონი, საქართველო, თბილისი. 2018 წელს კომპანიის თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა იყო 37 (2017 წ.: 44).

კომპანიის აქციების უმეტესობის მფლობელია „კორეის წყლის რესურსების კორპორაცია“ („კ-წყალი“), კომპანია, რომელიც დაფუძნებულია და საქმიანობას ეწევა კორეის რესპუბლიკაში. კ-წყალი დაფუძნებულია კორეის რესპუბლიკის მთავრობის მიერ, რომელიც მისი საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა და უფლებამოსილია თავისი სურვილის შესაბამისად და სარგებლის მისაღებად წარმართოს მისი საქმიანობა. კომპანიის უმცირესი წილის მფლობელია სს „საპარტნიორო ფონდი“ („ფონდი“), სახელმწიფო კომპანია, რომელიც დაფუძნებულია და საქმიანობას ეწევა საქართველოში. კომპანიის მიმდინარე აქციონერების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-13 და 22-ე შენიშვნები. ფონდი კომპანიის აქციონერი 2018 წელს გახდა და კომპანიის კაპიტალზე ხელმოწერისას აქციონერებმა მიიღეს კომპანიის შეცვლილი წესდება.

კომპანიის წესდების, რომელშიც ცვლილებები შევიდა, შესაბამისად შეიქმნა აღმასრულებელი კომიტეტი და საზედამხედველო საბჭო და „აქციონერთა შეთანხმების“ (განმარტება იხილეთ ქვემოთ) შესაბამისად განისაზღვრა იმ გადაწყვეტილებების ჩამონათვალი, რომელთა მიღება შეუძლია აღმასრულებელ კომიტეტს, საზედამხედველო საბჭოსა და აქციონერთა საერთო კრებას. აღმასრულებელი კომიტეტის წევრები არიან: აღმასრულებელი დირექტორი, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე, ფინანსური დირექტორი, ტექნიკური დირექტორი და ოპერაციების მართვის დირექტორი, ხოლო საზედამხედველო საბჭო 6 წევრისგან შედგება, რომელთაგან ოთხ წევრს კ-წყალი ნიშნავს, ორს კი ფონდი.

კომპანიას უმეტესწილად კ-წყალი აფინანსებს. შესაბამისად, კომპანია ეკონომიკურად კ-წყალზეა დამოკიდებული. ამასთან, კომპანიის საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული კ-წყლის მოთხოვნებზე. დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები დეტალურადაა აღწერილი 22-ე შენიშვნაში.

კომპანია პროექტს ახორციელებს 2015 წლის 31 აგვისტოს დადებული შემდეგი შეთანხმებების ფარგლებში:

- „განხორციელების შეთანხმება“, კომპანიასა და საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს“ („ესკო“) და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ („სსე“) შორის („განხორციელების შეთანხმება“). „განხორციელების შეთანხმებით“ რეგულირდება და იმართება ყველა ძირითადი ასპექტი, მათ შორის პროექტის კომერციული, ფინანსური, სამართლებრივი და საგადასახადო საკითხები; ასევე კომპანიის აქციების გადაცემა საქართველოს მთავრობისთვის „განხორციელების შეთანხმების“ ვადის ამოწურვის შემდეგ, რაც მოიცავს მშენებლობის პერიოდს, მიმატებული 36 წელი;
- კომპანიასა და ესკოს (კლიენტი, როგორც ეს განსაზღვრულია „განხორციელების შეთანხმებით“) შორის დადებულია „ელექტროენერგიის შესყიდვის შეთანხმება“, რომლითაც რეგულირდება კლიენტსა და კომპანიას შორის სახელშეკრულებო ურთიერთობები და ხორციელდება ისეთი საკითხების მართვა, რომლებიც დაკავშირებულია ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის მიერ წარმოებული ელექტროენერგიის ოპერირების დაწყების შემდეგ მიწოდებასთან;
- „ელექტროენერგიის შესყიდვის შეთანხმების“ „საკრედიტო მხარდაჭერის შეთანხმება“ კომპანიასა და ფონდს შორის, რომლითაც რეგულირდება მხარეებს შორის ურთიერთობები,

„ელექტროენერგიის შესყიდვის შეთანხმების“ ფარგლებში ფონდის მიერ ესკოს გადახდის მოვალეობების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით;

- „ფუთ და ქოლ ოფციონების შეთანხმება“ („PCOA“) კომპანიას, საქართველოს მთავრობას, „კორესის წყლის რესურსების კორპორაციას“ და ფონდს შორის, რომლითაც რეგულირდება მხარეთა უფლებები და მოვალეობები „განხორციელების შეთანხმების“ ნაადრევად შეწყვეტის და/ან მისი ვადის ამოწურვის შემთხვევაში; და
- „აქციონერთა შეთანხმება“ („SHA“) კომპანიას, „კორესის წყლის რესურსების კორპორაციას“ და ფონდს შორის („აქციონერთა შეთანხმება“), რომლითაც რეგულირდება საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის აქციონერთა სტრუქტურასა და ფონდის მიერ კომპანიის აქციების პოტენციური გამოწერასთან დაკავშირებით, ნატურით შენატანის მეშვეობით, დაახლოებით USD 16,740 (ან ეკვივალენტი ლარში) და USD 6,260 ათასის (ან ეკვივალენტი ლარში) ოდენობით ფულადი სახსრების კომპანიის კაპიტალში შეტანის მეშვეობით (შემდგომში ერთობლივად მოიხსენიება, როგორც „პროექტის თავდაპირველი დოკუმენტები“).

1 სს „ნენსკრა ჰიდრო“ და მისი საქმიანობა (გაგრძელება)

2017 წელს „პროექტის თავდაპირველ დოკუმენტებში ცვლილებები შევიდა. შეცვლილი „განხორციელების შეთანხმების“ შესაბამისად „ფინანსური დახურვის“ (როგორც ეს განსაზღვრულია „განხორციელების შეთანხმებით“) ვადა შეიცვალა, „გაფორმების თარიღიდან“ 18 თვის ნაცვლად 30 თვემდე. ამგვარად, „ფინანსური დახურვის“ საბოლოო ვადა იყო 2018 წლის 28 თებერვალი, რომელიც კომპანიის დამატებითი მოთხოვნით გადავადდა 2020 წლის იანვრის ბოლომდე.

მართალია, „განხორციელების შეთანხმებაში“ ცვლილება არ შესულა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების თარიღით, მაგრამ კომპანიამ წარადგინა და საქართველოს მთავრობამ მიიღო შეცვლილი „შეთავაზების უზრუნველყოფა“, რომლის გახანგრძლივებული მოქმედების ვადა 2019 წლის 31 აგვისტომდე ვრცელდება.

2018 წლის სექტემბერში „პროექტირება, შესყიდვა და მშენებლობის ხელშეკრულება“ („EPC Contract“), რომელიც 2015 წლის 31 აგვისტოს დაიდო მესამე მხარის კონტრაქტორთან - Salini Impregilo S.p.A („Salini“ ან „Contractor“) ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის (შემდეგში „ჰიდროელექტროსადგური“) პროექტირების, შესყიდვის, მშენებლობის, ტესტირების, ექსპლუატაციაში გაშვებისა და დასრულების შესახებ, გაუქმდა „შეწყვეტისა და ანგარიშსწორების შეთანხმების“ (the „TSD“) საფუძველზე, რომელიც მხარეებს შორის გაფორმდა. აღნიშნული „შეწყვეტისა და ანგარიშსწორების შეთანხმების“ საფუძველზე მხარეები ერთხმად შეთანხმდნენ, რომ დაესრულებინათ EPC Contract და შეთანხმდნენ მსგავსი შეწყვეტის პირობებსა და ვადებზე, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავდა შემდეგ პირობებს: (i) კომპანიამ აიღო USD 27,488 ათასის გადახდის ვალდებულება, საიდანაც USD 19,188 ათასი ფულადი სახსრებით იქნა გადახდილი, ხოლო დანარჩენის ანგარიშსწორება განხორციელდა კომპანიის მიერ EPC Contract-ის ფარგლებში გადახდილი ავანსის საპირისპიროდ (ii) EPC Contract-ის ფარგლებში კონტრაქტორის მიერ დადებული ქვე-ხელშეკრულებების ნოვაცია (iii) კონტრაქტორის მიერ სამშენებლო სამუშაოების მიზნებისთვის EPC Contract-ის ფარგლებში შეძენილი გარკვეული აქტივების გადაცემა კომპანიისთვის.

EPC Contract-ის შეწყვეტის შემდეგ კომპანიამ ტენდერი გამოაცხადა პროექტის ფარგლებში დარჩენილ სამშენებლო სამუშაოებზე, რომელიც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების თარიღითაც მიმდინარეობს და მოსალოდნელია, რომ 2019 წლის სექტემბერში დასრულდება. ამასთან, პროექტის სათანადოდ განხორციელებისათვის, სამშენებლო სამუშაოების შეფერხების თავიდან ასაცილებლად კომპანიამ განახორციელა შპს „კავკასიენერგოსთან“ და შპს „ქართულ სამშენებლო კონსორციუმთან“ („GCC“) დადებული ქვე-ხელშეკრულებების ნოვაცია მყარი ფასის კონტრაქტებით, USD 8,761 ათასი და USD 30,508 ათასი, შესაბამისად.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანია საქმიანობას საქართველოში ეწევა. შედეგად, კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრების პირობებში, რომელსაც განვითარებადი ბაზრის მახასიათებლები აქვს. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი საფუძვლების განვითარება გრძელდება, თუმცა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტირებასა და ხშირ ცვლილებებს ექვემდებარება, რაც სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად აძლიერებს საქართველოში მოქმედი საწარმოების წინაშე არსებულ გამოწვევებს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია კომპანიის საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე ქართული ბიზნეს-გარემოს გავლენის ხელმძღვანელობისეული შეფასება. სამომავლო ბიზნეს-გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობისეული შეფასებისგან.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, მოდიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების საფუძველზე თავდაპირველი აღიარებით, შესაბამისად. ქვემოთ მოცემულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. 2018 წლის 1 იანვრიდან ფასს 9-ისა და ფასს 15-ის მიღების შედეგად სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების გარდა, წინამდებარე პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ყველა წარდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის. 2017 წლის 31 დეკემბრამდე გამოყენებული ფინანსურ ინსტრუმენტებისა და ამონაგების აღიარებასთან დკავშირებით გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარადგენილია 24-ე შენიშვნაში.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვი შეფასებების გამოყენებას. ის მოითხოვს ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას. სფეროების, სადაც მაღალი ხარისხისა და სირთულის განსჯა გამოიყენება, ასევე სფეროების, სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისათვის, შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები. კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური დანახარჯები მოიცავს:

- საპროცენტო შემოსავალს;
- სავალუტო შემოსულობას ან ზარალს ფინანსური აქტივებიდან და ფინანსური ვალდებულებებიდან;

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავალუტო შემოსულობები და ზარალი ანგარიშდება ნეტო საფუძველზე ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური დანახარჯების სახით, რაც დამოკიდებულია იმაზე, სავალუტო ცვლილებები წმინდა შემოსულობის პოზიციას წარმოქმნიან თუ წმინდა ზარალის.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომდინარე მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% მთლიან თანხაზე (ანუ ნეტო დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით, საჭიროების შემთხვევაში, და მთლიანი თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. 2017 წლის 1 იანვრიდან რეზიდენტი იურიდიული პირებზე მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა. დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ

პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ 'გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა'.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილი უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) დებიტორული დავალიანებების ამოღება კლიენტებისაგან ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე. ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებით გადასახდელი დღგ 5-10 წლით გადავადდება საწარმოებისათვის, რომელთაც 20%-ზე მეტი დღგ-გან გათავისუფლებული ბრუნვა აქვთ.

ძირითადი საშუალებები და გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანს. ძირითადი საშუალებები ფასდება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალით.

თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც აქტივის შეძენაზე პირდაპირ მიკუთვნებადია. საკუთარი წარმოების აქტივების თვითღირებულება მოიცავს მასალებისა და პირდაპირი შრომითი დანახარჯების ღირებულებას, ასევე ნებისმიერ სხვა დანახარჯს, რომელიც პირდაპირ მიკუთვნებადია გამიზნული გამოყენებისთვის აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანაზე, დემონტაჟისა და ასევე, განლაგების ადგილის თავდაპირველ მდგომარეობამდე აღდგენის დანახარჯებსა და კაპიტალიზებულ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ დანახარჯებს. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც დაკავშირებული მოწყობილობის ფუნქციონირებისთვის აუცილებელია, კაპიტალიზდება, როგორც ამ მოწყობილობის ნაწილი.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი და პროექტის მართვის ხარჯები არ კაპიტალიზდება და პირდაპირ მოგება-ზარალს დაერიცხება, გარდა სამშენებლო სამუშაოებთან უშუალოდ დაკავშირებული კომპანიის ტექნიკური გუნდის შრომის ანაზღაურებისა და სამივლინებო ხარჯებისა, რომელიც დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში კაპიტალიზდება.

როდესაც ძირითადი საშუალების მნიშვნელოვან ნაწილს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს, ისინი აღირიცხება, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკე მუხლები (მთავარი კომპონენტები).

ძირითადი საშუალების გასვლიდან წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება გასვლიდან მიღებული შემოსავლის შედარებით ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებასთან და სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალში, სხვა შემოსავალში/სხვა ხარჯებში.

ძირითადი საშუალების კომპონენტის ჩანაცვლების ღირებულება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია ამ კომპონენტში განიცემული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოსვლა და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება შეწყდება.

ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების დანახარჯები მოგება-ზარალში აღიარდება გაწევისას.

ძირითად საშუალებას ცვეთა ერიცხება მას შემდეგ, რაც დამონტაჟდება და მზადაა მოხმარებისათვის, ან, საკუთარი წარმოების აქტივების შემთხვევაში, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთა ემყარება აქტივის ღირებულებას, შემცირებულს ნარჩენი ღირებულების შეფასებით.

გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ვანსი მოიცავს გადახდილ ავანსს დაუმთავრებელი აქტივებისთვის, რომლებიც შემდეგ ძირითად საშუალებებად კლასიფიცირდება. მსგავსი გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებულია გაუფასურების ანარჩენით და გრძელვადიანად კლასიფიცირდება, თუ დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც აღიარებისას თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი აქტივი.

ცვეთა. მიწას ცვეთა არ ერიცხება. დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება მანამ, სანამ ხელმისაწვდომი არ იქნება გამოსაყენებლად. ცვეთა მოგება-ზარალს წრფივი მეთოდით დაერიცხება ინდივიდუალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

სასარგებლო მომსახურების ვადა

სამშენებლო დანდგარები	5 წელი
საოფისე მოწყობილობები	5 წელი
ავტომობილები	5 წელი

იჯარით აღებულ აქტივებს ცვეთა ერიცხება საიჯარო ვადასა და მათ სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმოკლეს პერიოდში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გონივრულად სარწმუნოა, რომ კომპანია საკუთრების უფლებას მოიპოვებს საიჯარო ვადის დასასრულს.

ცვეთის დარიცხვის მეთოდები და სასარგებლო მომსახურების ვადები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება და შესწორდება, საჭიროებისამებრ.

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, აქტივი უკვე იმ ხნის და იმ მდგომარეობაში რომ იყოს, რომელსაც მოსალოდნელია, რომ ადგილი ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების

ვადები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება და შესწორდება, საჭიროების შემთხვევაში. ძირითად საშუალებად კლასიფიცირებული ყველა აქტივის ნარჩენი ღირებულება ნულის ტოლია.

გასაყიდად გამიზნულის კლასიფიკაციის მქონე გრძელვადიანი აქტივები (ან გასვლის ჯგუფი). გრძელვადიანი აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში კლასიფიცირებულია, როგორც 'გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები', თუ მათი საბალანსო ღირებულება ძირითადად ანაზღაურდება გაყიდვის ოპერაციის შედეგად, საანგარიშგებო პერიოდის დასასრულიდან თორმეტი თვის განმავლობაში. აქტივების რეკლასიფიკაცია ხორციელდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილდება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა: (ა) აქტივები არსებობს მათი მყისეულად გაყიდვის მიზნით, არსებულ მდგომარეობაში; (ბ) კომპანიის ხელმძღვანელობამ დაამტკიცა და დაიწყო აქტიური პროგრამა მყიდველის მოსაძიებლად; (გ) აქტივების გონივრულ ფასად გასაყიდად ხორციელდება მარკეტინგული ღონისძიებები; (დ) გაყიდვა მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში და (ე) ნაკლებად სავარაუდოა, რომ აღნიშნული გაყიდვის გეგმა მნიშვნელოვნად შეიცვლება ან გაუქმდება.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გასაყიდად გამიზნულის კლასიფიკაციის მქონე გრძელვადიანი აქტივები ან გასვლის ჯგუფები მიმდინარე პერიოდის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ რეკლასიფიცირდება ან ხელახლა არ აისახება შესადარის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიმდინარე პერიოდის ბოლოს კლასიფიკაციის ასახვის მიზნით.

გასაყიდად გამიზნული გასვლის ჯგუფები მთლიანობაში ფასდება მათ საბალანსო ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, შორის უმცირესი თანხით. გასაყიდად გამიზნულ ძირითად საშუალებებს ცვეთა არ ერიცხება და არ ამორტიზდება.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიური ბაზარი გახლავთ ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის რეალური ღირებულებით შეფასება ხდება იმ ფასის საფუძველზე, რომელიც მიიღებოდა ნეტო გრძელვადიანი პოზიციის გაყიდვისას (მაგ. აქტივის) გარკვეული რისკის შემთხვევაში, ან რომელიც გადაიხდებოდა ნეტო მოკლე პოზიციის გადაცემისას (მაგ. ვალდებულების) გარკვეული რისკისთვის, შეფასების თარიღით ბაზრის მონაწილეებს შორის ოპერაციისას.

შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან თავისუფალ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგებები ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება, გამოიყენება იმ კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი რესურსი). რეალური ღირებულების დონეების იერარქიაში ტრანსფერებს ადგილი არ ჰქონია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

გარიგების დანახარჯები გახლავთ ზრდადი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. ზრდადი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავენ სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ, როგორც გაყიდვების აგენტები) გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და აგრეთვე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავენ სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობის დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება (“AC”) არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდა საწყისი აღიარებისას, შემცირებული ძირითადი თანხის ნებისმიერი გადახდით, მიმატებული დაგროვილი პროცენტი, და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული ჩამოწერილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (“ECL”) ანარიცხებით. დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საფასურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დაკავშირებული მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი, იმგვარად, რომ მიღწეულ იქნეს პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება შეფასებული სამომავლო ფულადი გადახდები ან ფულის მიღება (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, საჭიროებისამებრ, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ინსტრუმენტები - საწყისი აღიარება. მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული (FVTPL) ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად რეალური ღირებულებით აღირიცხება. ყველა დანარჩენი ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, შესწორებული გარიგების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების გამოყენების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყისი აღიარებისას შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იგივე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები ან შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას. საწყისი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) ანარიცხი აღიარდება იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებითაა (AC) შეფასებული ან სხვა სრული შემოსავლის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული (FVOCI), სავალო ინსტრუმენტებში ინვესტიციებისათვის, რაც განაპირობებს მყისიერ სააღრიცხვო ზარალს.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების (რომელთა მიწოდება მოითხოვება რეგულირებით ან ბაზრის კონვენციით („ჩვეულებრივი“ შესყიდვები და გაყიდვები)) გარკვეულ ვადებში შეძენა და გაყიდვა აისახება ვაჭრობის თარიღით, რაც გახლავთ თარიღი, როდესაც კომპანიამ აიღო ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულება. ყველა სხვა შემენა აღიარდება მაშინ, როდესაც საწარმო გახდება მოცემული ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მონაწილე მხარე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსური აქტივების შეფასებას ახორციელებს ამორტიზებული ღირებულებით. სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია (i) კომპანიის ბიზნეს-მოდელზე, რომელიც გამოიყენება დკავშირებული აქტივების მართვისთვის და (ii) აქტივის ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს-მოდელი. ბიზნეს-მოდელი გვიჩვენებს, როგორ ახორციელებს კომპანია აქტივების მართვას ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - კომპანიის მიზანია: (i) აქტივიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება („სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი“); თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება (სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასყიდად ფლობილი“); თუ არც (i) და არც (ii) არ ვრცელდება, მაშინ ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც „სხვა“ ბიზნეს-მოდელის ნაწილი და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალის მეშვეობით (FVTPL).

ბიზნეს-მოდელი განისაზღვრება აქტივების ჯგუფისთვის (პორტფელის დონეზე) კომპანიის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დასახული მიზნის მისაღწევად გნხორციელებული ქმედებების შესაბამისი მტკიცებულების საფუძველზე. ბიზნეს-მოდელის განსაზღვრისას კომპანია შემდეგ ფაქტორებს ითვალისწინებს: პორტფელის დანიშნულება და შემადგენლობა, წარსული გამოცდილება - როგორ მიიღებოდა ფულადი ნაკადები შესაბამისი აქტივებისგან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, და როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადის მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს-მოდელით განსაზღვრულია აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია აფასებს ეს ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხის გადახდებს (SPPI) წარმოადგენენ თუ არა. ჩართული წარმოებულების მქონე ფინანსური აქტივები მთლიანობაში განიხილება იმის განსაზღვრისას, მათი ფულადი ნაკადები SPPI მახასიათებლის თანმიმდევრულია თუ არა. აღნიშნულის შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები თანმიმდევრულია თუ არა საბაზისო სასესხო შეთანხმების, ანუ პროცენტი მოიცავს თუ არა მხოლოდ საკრედიტო რისკს, ფულის დროით ღირებულებას, სხვა საბაზისო სასესხო რისკებსა და მოგების მარჟას.

როდესაც სახელშეკრულებო პირობებით წარმოიქმნება რისკი ან ცვალებადობა, რომელიც საბაზისო სასესხო შეთანხმებების თანმიმდევრულია, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული (FVPL). SPPI შეფასება ტარდება აქტივის საწყისი აღიარებისას და შემეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხორციელდება.

ფინანსური ინსტრუმენტები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური ინსტრუმენტები რეკლასიფიცირდება მხოლოდ მაშინ, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. აღნიშნულ რეკლასიფიკაციას პროსპექტული გავლენა აქვს და ხორციელდება იმ პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასწყისიდან, რომელიც მოჰყვება ბიზნეს-მოდელის ცვლილებას. კომპანიას მიმდინარე პერიოდსა და შესადარის პერიოდში არ შეუცვლია თავისი ბიზნეს-მოდელი და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (ECL). ერთადერთი ფინანსური აქტივი, რომელიც კომპანიაში ამჟამად ექვემდებარება

ECL მოდელს, არის ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ ასეობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღება სხვაგვარად შეწყდება ან (ბ) კომპანიას გადაცემული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს საკვალიფიკაციო გამტარი გარიგება, რომლითაც (i) გადაცემულია აგრეთვე აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად მთელი რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც პარტნიორს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში დაუკავშირებელ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, გარდა (i) რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა: ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემდგომის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოწურება).

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობა (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუნარიანობა ან გაკოტრება.

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) რადგან ისინი ფლობილია სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI") წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია. მახასიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორიცაა მაგალითად სავალო ვალდებულებების რესტრუქტურისა კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, გავლენა არა აქვს მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდის ტესტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის სახელშეკრულებო პირობებში აისახება, ისე რომ ის მაინც ძალაში იქნება, კანონმდებლობა რომც შეიცვალოს. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისაგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებს, რომელთა დაფარვის ვადა სამი თვე ან ნაკლები შეძენის თარიღიდან და რომელთა ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი არსებობს.

კრედიტორული დავალიანება. კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს, ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები. დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯებში აისახება ან კაპიტალიზდება, დეკავშირებული, გაწეული მომსახურების შესაბამისად. ვალდებულება აღიარდება იმ თანხით, რომელსაც მოსალოდნელია, რომ კომპანია გადაიხდის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობის გამო, რომ ეს თანხა გადაიხადოს თანამშრომლის მიერ წარსულში გაწეული მომსახურებისათვის, და მოვალეობის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

საოპერაციო იჯარა. როდესაც კომპანია მოიჯარეა და საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არ გადაეცემა კომპანიას მეიჯარის მიერ, მაშინ იჯარის მთლიანი გადახდები,

იჯარის მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით აისახება მოცემული წლის მოგება-ზარალში. იჯარის ვადა არის შეუწყვეტადი პერიოდი, რომლისთვისაც მოიჯარემ ხელშეკრულება გააფორმა მოცემული აქტივის იჯარით გაცემაზე, იმ დამატებით ვადასთან ერთად, რომლის განმავლობაშიც მეიჯარეს ამ აქტივის იჯარით ფლობის გაგრძელების ოფციონი აქვს, შემდგომი გადახდებით, თუ გადახდების გარეშე, როდესაც საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას გონივრულად სარწმუნოა, რომ მეიჯარე გამოიყენებს ამ ოფციონს.

სააქციო კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. ჩვეულებრივი კაპიტალის გამოშვებაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ზრდადი დანახარჯები და აქციის ოფციონები აღიარდება, როგორც კაპიტალიდან გამოქვითვა, საგადასახადო გავლენის გარეშე.

სააქციო კაპიტალის გაზრდა. სააქციო კაპიტალის გაზრდაზე გავლენას ახდენს ახალი აქციების გამოშვება. როდესაც სააქციო კაპიტალი ნატურით შენატანით (მომსახურების ჩათვლით) იზრდება, კომპანია სააქციო კაპიტალის ღირებულებას ზრდის მთლიანი შენატანების (რეალური ღირებულებით შეფასებული) თანხით და გაუნაწილებელ მოგებას ამცირებს კაპიტალში შეტანილი იმ მომსახურების ღირებულებით, რომელიც არ აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს. სააქციო კაპიტალის რეგისტრირებულ ოდენობასა და შეტანილი აქტივების რეალურ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობა აღიარდება კაპიტალის ცალკე კომპონენტად, როგორც რეალური ღირებულების კორექტირების რეზერვი მესაკუთრის არაფულადი შენატანებისთვის.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია. ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან კითხვები რომ დაისვას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება, და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. როდესაც მრავალი მსგავსი მოვალეობა არსებობს, ანგარიშსწორებისთვის რესურსების გასვლის ალბათობა განისაზღვრება მთლიანობაში მოვალეობების ჯგუფის გათვალისწინებით. ანარიცხი აღიარდება მაშინაც კი, როდესაც იმავე ჯგუფის მოვალეობებში არსებულ ნებისმიერ ერთ მუხლთან დაკავშირებით გასვლის ალბათობა მცირეა.

წინასწარ გადახდილი ფინანსური დანახარჯები. წინასწარ გადახდილი ფინანსური დანახარჯები მოიცავს გარიგების დანახარჯებს, რომლებიც ზრდადი დანახარჯებია და პირდაპირაა მიკუთვნებადი ფინანსური ვალდებულების შეძენაზე. ზრდადი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, გარიგება რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავს იურიდიული და ფინანსური მრჩეველებისათვის გადახდილ საზღაურსა და საკომისიოებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობის დანახარჯებს. ეს დანახარჯები გროვდება, როგორც წინასწარ გადახდილი ფინანსური დანახარჯები, რომელიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს სესხის მიღებისას, მისი თავდაპირველი შეფასების დროს.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ კომპანიისთვის.

გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება. ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი მუხლები კლასიფიცირებულია, როგორც დაუმთავრებელი წარმოება და ცვეთა ჯერ არ ერიცხებათ.

წინასწარ გადახდილი ფინანსური დანახარჯები. ხელმძღვანელობამ მიიჩნია, რომ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან დაფინანსების მისაღებად იურიდიული და ფინანსური მრჩევლებისთვის გადახდილი საზღაური პირდაპირ არის მიკუთვნებადი დაფინანსების მოძიებაზე და მათ მიანიჭა გარიგების დანახარჯების კლასიფიკაცია. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის მიმდინარე განზრახვები, ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია და საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან რეგულარული კომუნიკაციის შედეგები და მას სჯერა, რომ ძირითად საერთაშორისო ინსტიტუტებთან აქტიური მოლაპარაკებები წარმატებული იქნება და კომპანია შეძლებს წინასწარ გადახდილი დაფინანსების დანახარჯების სრულად ამოღებას 2020 წლის იანვრისთვის. თუ კომპანია საბოლოოდ ვერ შეძლებს დაფინანსების მიღებას, მაშინ გადავადებული წინასწარ გადახდილი დაფინანსების დანახარჯები ჩამოიწერება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, მთლიანი ღირებულებით GEL 27,725 ათასი (2017: GEL 19,806 ათასი).

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების მიღება

ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“, მიღება. კომპანიამ ფასს 9, ფინანსური ინსტრუმენტები, 2018 წლის 1 იანვარს მიიღო. კომპანიამ არჩია არ გადაეანგარიშებინა შესადარისი ციფრები და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების ნებისმიერი კორექტირება ალიარა გაუნაწილებელი მოგების საწყის ნაშთში ამ სტანდარტების თავდაპირველი გამოყენების თარიღით, 2018 წ. 1 იანვარს. შედეგად, ფასს 7-ის, ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები, გადასინჯული მოთხოვნები გამოყენებულ იქნა მხოლოდ მიმდინარე პერიოდში. შესადარისი პერიოდის განმარტებით შენიშვნებში გამეორებულია გასულ წელს გაკეთებული განმარტებითი შენიშვნები.

მიმდინარე პერიოდში გამოყენებული მნიშვნელოვანი ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია მე-3 შენიშვნაში. 2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოიყენება შესადარისი ინფორმაციის მიმართ, გამჟღავნებულია 24-ე შენიშვნაში.

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფულისა და ფულის ეკვივალენტების ყველა ჯგუფი, რომელთა შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია მე-9 შენიშვნაში, ბასს 39-ის შესაბამისად სესხებისა და დებიტორული დავალიანებების შეფასების კატეგორიიდან რეკლასიფიცირდა ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულის კატეგორიაში ფასს 9-ის შესაბამისად, სტანდარტის შემოღების თარიღით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECLs) ფულისა და ფულის ეკვივალენტების ნაშთებისთვის უმნიშვნელო იყო.

ფასს 15-ის, ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან, მიღება. კომპანია ამონაგებს არ წარმოქმნის, შესაბამისად, ფასს 15-ს არავითარი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ქვემოთ ჩამოთვლილი სტანდარტები, რომლებშიც ცვლილებები შევიდა, ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არსებითი გავლენა არ ჰქონია კომპანიაზე:

- ცვლილებები ფასს 2-ში, „აქციებზე დაფუძნებული გადახდა“ (გამოცემულია 2016 წლის 20 ივნისს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ცვლილებები ფასს 4-ში - ფასს 9-ის, „ფინანსური ინსტრუმენტები“, გამოყენება ფასს 4-თან, „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (გამოცემულია 2016 წლის 12 სექტემბერს და ძალაში შედის, მიდგომის მიხედვით, 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

იმ საწარმოებისთვის, რომლებიც არჩევენ დროებითი გათავისუფლების ალტერნატივის გამოყენებას, ან როდესაც საწარმო პირველად მიიღებს ფასს 9-ს, საწარმოებისთვის, რომლებიც საერთო მიდგომის გამოყენებას არჩევენ)..

- ფასს-ების წლიური გაუმჯობესებების 2014-2016 ციკლი – ცვლილებები ფასს 1-ში და ბასს 28 (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ფასს 22, „უცხოური ვალუტით ოპერაციები და ავანსი“ (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ცვლილებები ბასს 40-ში – „საინვესტიციო ქონების გადაცემა“ (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

6 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები

გამოცემული იქნა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2019 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული პერიოდებისათვის, და რომელთა გადაზე ადრე გამოყენება კომპანიას ჯერ არ დაუწყია.

ფასს 16, „იჯარა“ (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ახალი სტანდარტით დადგენილია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენის და გამჟღავნების პრინციპები. ყველა იჯარის შედეგია მოიჯარის მიერ აქტივის გამოყენების უფლების მიღება საიჯარო ურთიერთობის დასაწყისში და როდესაც საიჯარო გადახდები დროთა განმავლობაში ხორციელდება, დაფინანსების მიღებაც. შესაბამისად, ფასს 16-ით გამორიცხულია იჯარის კლასიფიკაცია საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, როგორც ეს მოითხოვებოდა ბასს 17-ით და სანაცვლოდ შემოღებულია იჯარის აღრიცხვის ერთი მოდელი. მოიჯარეს მოეთხოვება აღიაროს: (ა) აქტივები და ვალდებულებები ყველა იჯარისათვის, რომელთა ხანგრძლივობა აღემატება 12 თვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბაზისო აქტივის ღირებულება დაბალია; და (ბ) საიჯარო აქტივების ცვეთა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში განაცალკევოს საიჯარო ვალდებულებების პროცენტისაგან. ფასს 16-ში არსებითად გადატანილია ბასს 17-ში მოცემული მეიჯარის აღრიცხვის მოთხოვნები. შესაბამისად, მეიჯარე განაგრძობს თავისი იჯარის კლასიფიკაციას საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, და ამ ორი ტიპის იჯარის განსხვავებულად აღრიცხვას. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის გავლენის შეფასებას.

6 ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

კომპანიამ გადაწყვიტა ამ სტანდარტის გამოყენება მისი სავალდებულო მიღების თარიღიდან, 2019 წლის 1 იანვრიდან, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მეთოდის გამოყენებით, შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშების გარეშე. საიჯარო ქონებასთან დაკავშირებული აქტივის გამოყენების უფლება გადასვლისას ფასდება, თითქოს ყოველთვის ახალი წესები გამოიყენებოდა. ყველა სხვა დანარჩენი აქტივის გამოყენების უფლება შეფასდება ახალი სტანდარტის მიღებისას არსებული საიჯარო ვალდებულებით (კორექტირებული წინასწარ გადახდილი ან დარიცხული ხარჯებისთვის).

2018 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას არა აქვს რაიმე საიჯარო შეთანხმება, შესაბამისად წმინდა აქტივებსა და წმინდა მოკლევადიან აქტივებზე რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა მოსალოდნელი არ არის.

ფასს 17 "სადაზღვევო ხელშეკრულებები" (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტირებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვევლის მიერ ფლობილი სადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებას) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია) (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ხელშეკრულებების ამ ჯგუფში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვევლები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია არ მოელის, რომ ახალ სტანდარტს რაიმეგვარად ექნება მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების წარდგენის კონცეპტუალურ საფუძვლებში (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). გადასინჯული კონცეპტუალური საფუძვლები მოიცავს ახალ თავს შეფასების შესახებ; სახელმძღვანელო მითითებებს საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ; გაუმჯობესებულ განმარტებებსა და სახელმძღვანელო მითითებებს - განსაკუთრებით ვალდებულების განმარტება; ასევე მნიშვნელოვანი საკითხების ახსნას, როგორიცაა მაგალთად, ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით ზედამხედველობის, წინდახედულობისა და შეფასების განუსაზღვრელობის როლი.

არსებითობის განმარტება – ცვლილებები ბასს 1-სა და ბასს 8 (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ ცვლილებებით უფრო ნათლად არის ჩამოყალიბებული არსებითობის განმარტება და ახსნილია, როგორ შეიძლება მისი გამოყენება, რაც ადრე ამ ფასს-ის ტექსტში იყო მოცემული ახლა კი განმარტებაშია ასახული. ამასთან, გაუმჯობესებულია განმარტების თანმხლები ახსნა. დასასრულ, ცვლილებებით უზრუნველყოფილია არსებითობის განმარტების თანმიმდევრულობა ყველა ფასს-ში. ინფორმაცია არსებითია, თუ მისი გამოტოვების, უზუსტობის ან ბუნდოვნად წარდგენისას შეიძლება გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელი იყოს იმ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, სადაც ასახულია ფინანსური ინფორმაცია კონკრეტული საანგარიშგებო საწარმოს შესახებ. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის გავლენის შეფასებას.

ცვლილებები ბასს 19-ში „პროგრამის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება“ (გამოცემულია 2018

წლის 7 თებერვალს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში მითითებულია, როგორ უნდა განისაზღვროს საპენსიო ხარჯები დადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამის ცვლილების შემთხვევაში. პროგრამის ცვლილებისას - ცვლილების შეტანა, შემცირება ან ანგარიშსწორება - ბასს 19-ით მოითხოვება წმინდა დადგენილი სარგებლის ვალდებულების ან აქტივის წმინდა დადგენილგადასახდელიანი ვალდებულების ან აქტივის ხელახლა შეფასება. ამ ცვლილებებით მოითხოვება ამ შეფასების განახლებული დაშვებების გამოყენება, რათა განისაზღვროს მიმდინარე მომსახურების დანახარჯი წმინდა პროცენტით, პროგრამის ცვლილების შემდეგ დარჩენილი საანგარიშგებო პერიოდისთვის. ამ ცვლილებების შეტანამდე ბასს 19-ში მითითებული არ იყო, როგორ უნდა განსაზღვრულიყო ეს ხარჯები პროგრამის ცვლილების შემდგომ პერიოდში. განახლებული დაშვებების გამოყენების მოთხოვნით მოსალოდნელია, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის უზრუნველყოფილი იქნება სასარგებლო ინფორმაცია. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის გავლენის შეფასებას.

ზემოთ სხვაგვარად თუ არ არის მითითებული, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7 ძირითადი საშუალებები და გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსი

ათასი ლარი	მიწა	CIP*	სამშენებლო დანადგარებ ო	საოფისე მოწყობილობებ ო	ავტომობილებ ო	სულ	გრძელვადიან ო აქტივებისთვის გადახდილი ავანსი
თვითღირებულებები							
2017 წ. 1 იანვარს	-	62,113	448	203	100	62,864	40,315
შეძენა	3,18						
გადატანა CIP-ში	2	51,404	-	137	174	54,897	6,610
	-	78	-	-	-	78	(78)
2017 წ. 31	3,18	113,59				117,83	
დეკემბერს	2	5	448	340	274	9	46,847
შეძენა	439	130,59				131,09	
გადატანა CIP-ში	-	2	1	103	-	7	32,564
ჩამოწერა	-	18,641	-	-	-	18,641	(18,641)
გასვლა	-	(2,146)	-	-	-	(2,146)	-
					(38)		
2018 წ. 31	3,62	260,68				265,43	
დეკემბერს	1	2	449	443	236	1	60,770
დაგროვილი ცვეთა							
2017 წ. 1 იანვარს	-	-	15	36	9	60	-
ცვეთის ხარჯი	-	-	90	54	48	192	-
2017 წ. 31	-	-	105	90	57	252	-
დეკემბერს	-	-	105	90	57	252	-
ცვეთის ხარჯი	-	-	90	82	50	212	-
გაყიდულის ცვეთა					(10)		
2018 წ. 31	-	-	195	172	97	464	-
დეკემბერს	-	-	195	172	97	464	-
საბალანსო ღირებულებები							
2017 წ. 31	3,18	113,59				117,58	
დეკემბერს	2	5	343	250	217	7	46,847
2018 წ. 31	3,62	260,68				264,96	
დეკემბერს	1	2	254	271	139	7	60,770

(*) CIP – „დაუმთავრებელი მშენებლობა“ მოიცავს პროექტის მშენებლობისთვის გაწეულ კაპიტალურ დანახარჯებს, რაც ძირითადად მოიცავს პროფესიულ საინჟინრო დანახარჯებს საინჟინრო კვლევებისთვის, საერთო საპროექტო სამუშაოებსა და მისასვლელი გზების განახლებას. 2018 წლის 31 დეკემბერს მსგავსი მომსახურების ანარიცხებთან დაკავშირებული დანახარჯები შეადგენდა GEL 242,156 ათასს (2017: GEL 101,157 ათასი). დაუმთავრებელი მშენებლობის დარჩენილი ნაშთი ძირითადად მოიცავს იურიდიულ, გარემოსდაცვით, სოციალურ და ტექნიკურ ექსპერტულ მომსახურებას, რომელმაც შეადგინა GEL 18,527 ათასი (2017: GEL 12,438 ათასი). ექვების თავიდან მოსაცილებლად, ეს თანხა არ შეიცავს პოტენციური გამსესხებლების მოთხოვნის შედეგად გარემოსდაცვითი და ტექნიკური ექსპერტული მომსახურების დანახარჯებს, რომელიც აღირიცხება, როგორც წინასწარ გადახდილი ფინანსური დანახარჯები და რომელიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს სესხის

თავდაპირველი შეფასებისას, მისი მიღების შემდეგ (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-8 შენიშვნა).

ჩამოწერილი თანხა, GEL 2,146 ათასი, წარმოადგენს დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულების შემცირებას 2018 წლის ივლისში წყალდიდობის შედეგად მისასვლელი გზის ფიზიკურად დაზიანების გამო.

„განხორციელების შეთანხმების“ შესაბამისად საქართველოს მთავრობამ უნდა შეიძინოს და პროექტს გადასცეს პროექტის მშენებლობისთვის საჭირო მიწის ნაკვეთების საკუთრების უფლება, ან მათზე მშენებლობის უფლება („მოთხოვნილი მიწა“). სახელმწიფო მიწისთვის კომპანიამ USD 1 (ყველა გადასახადის, რეგისტრაციის, შეძენის მოსაკრებელისა და სხვა ხარჯების ჩათვლით) უნდა გადაუხადოს საქართველოს მთავრობას, ხოლო კერძო მიწებისთვის კომპანიამ საქართველოს მთავრობას უნდა აუნაზღაუროს შეძენისას ფაქტობრივად გაწეული ხარჯები.

2018 წლის 31 დეკემბერს კომპანიას საქართველოს მთავრობისგან და ადგილობრივი მაცხოვრებლებისგან მოპოვებული ჰქონდა საკუთრების უფლება რამდენიმე მიწის ნაკვეთზე. კომპანიამ კომპენსაციის შეთანხმებები გააფორმა ადგილობრივ მაცხოვრებლებთან, რომლებიც იყენებდნენ აღნიშნულ მიწის ნაკვეთებსა და მათზე დამაგრებულ აქტივებს სასოფლო-სამეურნეო ან შინამეურნეობების მიზნებისათვის. მსგავსი მიწებისათვის გადახდილი თანხა, GEL 3,621 ათასი (2017: GEL 3,182 ათასი) აღრიცხულია მუხლში „მიწა“.

გარკვეული მიწის ნაკვეთები საქართველოს მთავრობამ და/ან ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა კომპანიას მშენებლობის უფლებით გადასცა. მსგავსი მიწისთვის გადახდილი კომპენსაცია GEL 346 ათასი (2017: GEL 365 ათასი) ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის, ვინც მიწას სასოფლო-სამეურნეო ან შინამეურნეობის მიზნებისათვის იყენებდა, აღრიცხულია შემდეგ მუხლში: „გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსი“.

7 ძირითადი საშუალებები და გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსი

სამშენებლო მოედნებთან მისასვლელისთვის ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის გადახდილი დანარაჩენი კომპენსაცია (GEL 600 ათასი) აღრიცხულია დაუმთავრებელ მშენებლობაში.

2018 წლის 31 დეკემბერს გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსი მოიცავს „შეწყვეტისა და ანგარიშსწორების შეთანხმების“ („TSD“) ფარგლებში კომპანიის მიერ გამოყენებული აქტივების ღირებულებას, USD 12,210 ათასი და სამშენებლო სამუშაოების ღირებულებას USD 11,067 ათასი (2017: USD 19,315 ათასი (ყოფილი EPC Contractor-თვის გადახდილი ავანსი) „ქართულ სამშენებლო კონსორციუმთან“ (GCC) ხელშეკრულებების შესაბამისად. ამასთან, ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის გადახდილი კომპენსაციები კომპანიისთვის მიწის საკუთრების უფლების და/ან მასზე მშენებლობის უფლების გადასაცემად ასევე კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსი.

8 წინასწარ გადახდილი ფინანსური დანახარჯები

კომპანიამ იურიდიული, ფინანსური და ტექნიკური მრჩევლები ჩართო საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან დაფინანსების მოძიებაში დახმარების გასაწევად. მათი საზღაური წარმოადგენს გარიგების დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ მიკუთვნება დაფინანსების მოძიებაზე და 2018 წლის 31 დეკემბერს აღიარდება, როგორც წინასწარ გადახდილი ფინანსური დანახარჯები. წინასწარ გადახდილი ფინანსური დანახარჯები გათვალისწინებულ იქნება სესხების თავდაპირველი შეფასებისას, როდესაც მოხდება მათი მიღება. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების თარიღით ხელმძღვანელობა აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს ძირითად ინსტიტუციონალურ ინვესტორებთან დაფინანსების მოძიებაზე.

ათასი ლარი	2018	2017
ნაშთი წლის დასაწყისში	19,806	6,038
პერიოდის განმავლობაში აღიარებული	7,919	13,768
ნაშთი წლის დასასრულს	27,725	19,806

9 ფული და ფულის ეკვივალენტები

ათასი ლარი	2018 წ. 31 დეკემბერი	2017 წ. 31 დეკემბერი
მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები	39,575	56,575
ვადიანი დეპოზიტები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვეზე ნაკლებია	-	9
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	39,575	56,584

ქოლ დეპოზიტები გახლავთ მოთხოვნამდე დეპოზიტები. კომპანიას აქვს დეპოზიტების მოთხოვნისთანავე, წინასწარი შეტყობინების ან ჯარიმების გარეშე გამოტანის ცალმხრივი უფლება ქვს.

კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკისა და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სენსიტიურობის ანალიზის შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-19 შენიშვნაში.

კომპანია საბანკო მომსახურების მისაღებად თანამშრომლობს რესპექტაბელურ ქართულ კომერციულ ბანკთან, რომელსაც Standard and Poor's-სა და Fitch-ის რეიტინგი, BB- აქვს. ფულისა და ფულის ეკვივალენტების ნაშთები არც ვადაგადცილებულია და არ გაუფასურებული. კომპანია არ მოელის, რომ რომელიმე პარტნიორი ვერ შეასრულებს თვის მოვალეობებს.

10 გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები

აღნიშნული მოიცავს სამშენებლო ბანაკის აქტივებსა და მძიმე ტექნიკას, რომელიც კომპანიას EPC Contractor-მა, Salini Impregilo Spa-მ გადასცა ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ. აღნიშნული აქტივები ახალ EPC Contractor-ს გადაეცემა.

11 წინასწარ გადახდილი და ანაზღაურებადი გადასახდები (ნეტო)

ათასი ლარი	2018 წ. 31 დეკემბერი	2017 წ. 31 დეკემბერი
ანაზღაურებადი დღგ	16,799	8,876
სხვა წინასწარ გადახდილი გადასახდები	3	-
საგადასახადო კრედიტორული დავალიანება	(6,117)	(1,717)
წინასწარ გადახდილი და ანაზღაურებადი გადასახდები, ნეტო	10,685	7,159

12 კრედიტორული დავალიანება

ათასი ლარი	2018 წ. 31 დეკემბერი	2017 წ. 31 დეკემბერი
კრედიტორული დავალიანება, დაკავშირებული აქტივებთან, რომელთა მშენებლობა მიმდინარეობს	1,440	2,782
სხვა კრედიტორული დავალიანება	395	4,073
დარიცხული ვალდებულებები და სხვა კრედიტორები	-	2,455
სულ კრედიტორული დავალიანება	1,835	9,310

კრედიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებული კომპანიის სავალუტო და ლიკვიდობის რისკები გამჟღავნებულია მე- 19 შენიშვნაში.

სხვა კრედიტორული დავალიანება მოიცავს ვალდებულებებს იურიდიული მომსახურებისათვის, GEL 145 ათასის (2017: GEL 3,250 ათასი) ოდენობით და ფინანსური კონსულტაციებისთვის GEL 31 ათასის (2017: GEL 749 ათასი) ოდენობით.

13 სააქციო კაპიტალი

	ჩვეულებრივი აქციები
2017 წ. 1 იანვარს	61,470
გამოშვებული ახალი აქციები	40,065
2017 წ. 31 დეკემბერს	101,535
გამოშვებული ახალი აქციები	79,180
2018 წ. 31 დეკემბერს	180,715

ყველა ჩვეულებრივი აქცია თანასწორია კომპანიის ნარჩენ აქტივებთან მიმართებით.

2018 წელს დამატებით 79,180 ათასი ჩვეულებრივი აქცია იქნა გამოშვებული, საიდანაც 66,554 აქცია გამოშვებულ იქნა კ-წყალისთვის, ნატურით შენატანისთვის, რომლის ღირებულება იყო USD 8,362 ათასი და USD 58,193 ათასის ოდენობით ფულადი შენატანისთვის. დარჩენილი აქციები გამოშვებულ იქნა ფონდისთვის, ნატურით შენატანისთვის, რომლის ღირებულება იყო USD 12,625 ათასი.

ფონდისა და კ-წყალის მიერ ნატურით შენატანები მოიცავს მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებს, რომლებიც პროექტის ადრეულ ეტაპებზეა შექმნილი, მათ შორის მომსახურებებს, რომელთა რეალური ღირებულება 2018 წლის 12 იანვრით დათარიღებულ შეფასების ანგარიშში განსაზღვრა დამოუკიდებელმა ექსპერტმა. სულ ნატურით შენატანებმა შეადგინა GEL 53,874 ათასი, საიდანაც GEL 7,721 ათასი პირდაპირ დადებულა დაგროვილ დეფიციტზე, რადგან შენატანმა მომსახურებამ ვერ დააკმაყოფილა აქტივის აღიარების კრიტერიუმები, ხოლო დანარჩენი, GEL 42,515 ათასი და GEL 3,636 ათასი აისახა დაუმთავრებელ მშენებლობასა და წინასწარ გადახდილ დაფინანსების დანახარჯებში, შესაბამისად.

2018 წლის 31 დეკემბერს კომპანიის მთლიანმა დამტკიცებულმა სააქციო კაპიტალმა შეადგინა USD 330,000 ათასი და მოიცავდა 330,000 ათას აქციას, თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება იყო USD 1, საიდანაც მხოლოდ 180,715 ათასი აქცია იყო გამოშვებული. ყველა გამოშვებული აქცია მთლიანად გადახდილია / შეტანილია და ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს დივიდენდების მიღების უფლება აქვთ, რომელიც დრო და დრო გამოცხადდება, მათ ასევე ერთი ხმის უფლება აქვთ თითოეულ აქციაზე კომპანიის აქციონერთა საერთო კრებაზე.

იხილეთ 22-ე შენიშვნა კომპანიის აქციონერებთან დაკავშირებული სიახლეებისთვის.

14 პერსონალის ხარჯები

ათასი ლარი	2018	2017
ხელფასები და შრომის ანაზღაურება	4,123	3,519
სხვა პერსონალის ხარჯები	828	525
სულ პერსონალის ხარჯები	4,951	4,044

15 სხვა საოპერაციო ხარჯები

ათასი ლარი	2018	2017
EPC -ის შეწყვეტის დანახარჯები (1-ლი შენიშვნა)	7,474	-
გადასახდები, მოგების გადასახადის გარდა	3,299	1,971
ჩამოწერილი გრძელვადიანი აქტივები (მე-7 შენიშვნა)	2,146	-
პროფესიული მომსახურება*	956	1,374
სოციალური დანახარჯები	821	855
წარმომადგენლობითი და სამივილინებო ხარჯები	526	530
იჯარის ხარჯები	324	315
საზოგადოებასთან ურთიერთობის მომსახურება	161	348
ჯარიმის ხარჯები	-	261
სხვ	949	477
სხვა საოპერაციო ხარჯები, სულ	16,656	6,131

(*) პროფესიული მომსახურება მოიცავს GEL 64 ათასს (2017: GEL 75 ათასი) – საზღაურს აუდიტორული და სხვა პროფესიული მომსახურებისთვის, რომელიც გასწია აუდიტორმა/აუდიტორმა ფირმამ, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

16 ფინანსური დანახარჯები, ნეტო

ათასი ლარი	2018	2017
სავალუტო ზარალი	(1,079)	(2,684)
საპროცენტო შემოსავალი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	876	923
სხვა საპროცენტო შემოსავლი	-	12
ნეტო ფინანსური (დანახარჯი)/შემოსავალი	(203)	(1,749)

17 რეალური ღირებულების გამჟღავნება

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით შეფასებული არ არის, მაგარამ რომელთა რეალური ღირებულება გამჟღავნებულია. იმ აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით და საბალანსო ღირებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით შეფასებული არ არის:

ათასი ლარი	2018 წ. 31 დეკემბერი				2017 წ. 31 დეკემბერი			
	დონე				დონე			
	1	2	3	Total	1	2	3	Total
აქტივები								
- ფული და ფულის ეკვივალენტები	-	39,575	-	39,575	-	56,584	-	56,584
სულ აქტივები	-	39,575	-	39,575	-	56,584	-	56,584
ვალდებულებები								
- კრედიტორული დავლინება	-	-	1,835	1,835	-	-	9,310	9,310
სულ ვალდებულებები	-	-	1,835	1,835	-	-	9,310	9,310

რეალური ღირებულების შეფასების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემები დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ინფორმაცია). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება არის მე-3 დონის შეფასება. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

რეალური ღირებულების იერარქიაში მე-2 და მე-3 დონის რეალური ღირებულებები შეფასებული იქნა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით, რისთვისაც გამოყენებულ იქნა შესაძარისი საბაზრო ფასები. არაკოტირებული, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების რეალური ღირებულება შეფასებული იქნა შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების, რომელთა მიღება მოსალოდნელია, დისკონტირებით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნიათ.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია, დისკონტირებულს მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია პარტნიორის საკრედიტო რისკზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანებების და სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებებთან, მათი დაფარვის მოკლე ვადის გამო.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებისა და გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტები შეფასებული იქნა მიმდინარე

საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ. კრედიტორული დავალიანებების საბალანსო ღირებულებები ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებებთან, მათი დაფარვის მოკლე ვადის გამო.

18 კაპიტალის მართვა

მშობელი კომპანია ახორციელებს კომპანიის კაპიტალის მართვას და ცდილობს უზრუნველყოს მძლავრი კაპიტალის ბაზა, რათა შეინარჩუნოს ინვესტორის, კრედიტორისა და ბაზრის ნდობა და უზრუნველყოს პროექტის განვითარება. 2018 წელს ფონდი გახდა კომპანიის აქციონერი (მე-13 და 22-ე შენიშვნები).

კომპანია კაპიტალის მართვას ახორციელებს ეფექტური ფულადი სახსრების მართვისა და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმების მეშვეობით.

კომპანიაზე არ ვრცელდება გარედან თავსმოხვეული კაპიტალის მოთხოვნები.

19 ფინანსური რისკის მართვა

აღმასრულებელი დირექტორი პასუხისმგებელია რისკის მართვის ფუნქციის დანერგვასა და მონიტორინგზე კომპანიის ფინანსურ, საოპერაციო და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკები მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკი, საპროცენტო განაკვეთის რისკი და სხვა ფასის რისკი), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკი ყოველთვის ამ ზღვრებშია. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციების მიზანია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირება, საოპერაციო და იურიდიული რისკების მინიმიზაციისთვის.

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკის დანერგვის მიზანია კომპანიის წინაშე არსებული რისკების გამოვლენა და ანალიზი, სათანადო ზღვრების დადგენისა და კონტროლის დაწესებისთვის, ასევე რისკის მონიტორინგისა და ზღვრების დაცვისთვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემები რეგულარულად გადაისინჯება, რათა აისახოს ცვლილებები საბაზრო პირობებსა და კომპანიის საქმიანობაში.

კომპანიის მიზანია, ტრეინინგისა და მართვის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით, დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, სადაც ყველა თანამშრომელს ესმის თავისი როლი და მოვალეობები.

კომპანიის აქციონერი ზედამხედველობას უწევს ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების დცვის მონიტორინგის მართვას და მიმოიხილავს კომპანიის წინაშე არსებულ რისკებთან მიმართებით რისკის მართვის საფუძვლების ადეკვატურობას.

საკრედიტო რისკი. კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში.

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი კომპანიის სამეურნეო საქმიანობის უდიდესი რისკია; შესაბამისად, ხელმძღვანელობა გულდასმით მართავს კომპანიის საკრედიტო რისკს.

რისკის მართვის მიზნებისათვის საკრედიტო რისკის შეფასება ემყარება მხოლოდ საკრედიტო რისკის ანალიზს. ხელმძღვანელობა კომპანიის ფულისა და ფულის ეკვივალენტების განსათავსებლად არჩევს სტაბილურ ფინანსურ ინსტიტუტებს, რომელთა მინიმალური საკრედიტო რეიტინგია BB-.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება. ხელმძღვანელობას არა აქვს განსაკუთრებული კონტროლის მექანიზმი ფულისა და ფულის ეკვივალენტებისათვის, რადგან ისტორიულად ფულისა და ფულის ეკვივალენტების ნაშთები განთავსებულია მაღალი საკრედიტო რეიტინგის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში.

ისტორიულად არ არსებობს საკრედიტო ზრალი განსაზღვრულ პერიოდში. ხელმძღვანელობას არ გამოუყენებია მაკროეკონომიკური ფაქტორები დამატებითი ანალიზისთვის, რადგან საკრედიტო ზარალის არარსებობის სტატისტიკის პირობებში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უმნიშვნელო იქნება.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში (მე-9 შენიშვნა).

საბაზრო რისკი. კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) აქტივებსა და ვალდებულებებთან, რომელთაც პროცენტი ერიცხებათ, და (გ) წილობრივ პროდუქტებთან (რომელთაგან ყველას აქვს საბაზრო ცვლილებების საერთო და სპეციფიკური რისკები), მიმართებით. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა, უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

19 ფინანსური რისკის მართვ (გაგრძელება)

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან მიმართებით ხელმძღვანელობა როგორც ვალუტების მიხედვით, ასევე მთლიანი რისკის დონის ზღვარს ადგენს. პოზიციების მონიტორინგი ყოველთვიურად ხორციელდება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის სავალუტო რისკი საანგარიშგებო პერიოდების ბოლოს:

ათასი ლარი	2018 წ. 31 დეკემბერი			2017 წ. 31 დეკემბერი		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო საბალანსო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო საბალანსო პოზიცია
ქართული ლარი	232	(445)	(213)	260	(74)	186
აშშ დოლარი	39,343	(902)	38,441	56,324	(7,075)	49,249
შვედური ფრანკი (CHF)	-	(488)	(488)	-	(1,581)	(1,581)
ევრო (EUR)	-	-	-	-	(580)	(580)
სულ	39,575	(1,835)	37,740	56,584	(9,310)	47,274

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. მიჩნეულია, არაფულადი აქტივები არ წარმოქმნის არსებით სავალუტო რისკს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოგება-ზარალისა და კაპიტალის მგრძნობელობა კომპანიის სამუშაო ვალუტასთან მიმართებით გაცვლითი კურსების გონივრულად შესაძლო ცვლილებებისადმი, სხვა ცვლადების უცვლელად დატოვების პირობებში:

ათასი ლარი	2018 წ. 31 დეკემბერი		2017 წ. 31 დეკემბერი	
	გავლენა მოგება- ზარალზე	გავლენა კაპიტალზე	გავლენა მოგება- ზარალზე	გავლენა კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	3,844	3,844	4,925	4,925
აშშ დოლარის გაუფასურება 10%-ით	(3,844)	(3,844)	(4,925)	(4,925)

კომპანიის კაპიტალი აშშ დოლარშია გამოსახული და ფულისა და ფულის ეკვივალენტების ნაშთები ძირითადად აშშ დოლარშია. EPC Contract და სხვა მნიშვნელოვანი სხელშეკრულებო შეთხმულებები, საიდანაც არსებითი ფულადი ნაკადის გასვლა წარმოიქმნება, ასევე ძირითადად აშშ დოლარშია გამოსახული.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიას აქვს ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავრცელებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობის გავლენის რისკი. კომპანიის ერთადერთი საპროცენტო გნკვეთის რისკი ამჟამად არის ფულის და ფულის ეკვივალენტების საპროცენტო განაკვეთის რისკი მაქსიმუმ წლის დასრულებიდან სამთვიანი პერიოდის განმავლობაში.

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას პრობლემები ექნება იმ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებაში, რომელთა ანგარიშსწორება ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდებით უნდა განხორციელდეს. ლიკვიდობის რისკისადმი კომპანიის მიდგომა იმის უზრუნველყოფა, რომ რამდენადაც შესაძლებელია, ყოველთვის ჰქონდეს საკმარისი ლიკვიდობა ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად მათი დაფარვის ვადის დადგომისას, ჩვეულებრივ და სტრესულ პირობებში, მიუღებელი ზრალის ან კომპანიის რეპუტაციისათვის ზიანის მიყენების გარეშე.

კომპანია ფულად ნაკადებს ჯერ არ წარმოქმნის და დაფინანსებას აქციონერისგან იღებს. ამიტომ, კომპანია ფულადი ნაკადების გასვლის პროგნოზს აკეთებს შეფასებული ფინანსური საჭიროებების საფუძველზე, რომელიც განისაზღვრება დაგეგმილი სამშენებლო საქმიანობით. ამჟამად კომპანია

ინსტიტუციონალური გამსესხებლებისგან უგირავნო ან შეზღუდული უზრუნველყოფის მექანე პროექტის დაფინანსების მოძიების პროცესშია, რათა მიაღწიოს „ფინანსურ დახურვას“ (როგორც ეს განსაზღვრულია „განხორციელების შეთანხმებით“), ფინანსური დოკუმენტების მომზადებას და მიწოდებასა და ფონდების მისაღებად საჭირო ყველა წინაპირობის დასაკმაყოფილებლად. კომპანია გეგმავს ნასესხები თანხისა და აქციონერის მიერ კაპიტალის შენატანების გამოყენებას პროექტის მშენებლობასთან დაკავშირებული კაპიტალური ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.

19 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბერს:

ათასი ლარი	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
დაუმთავრებელ მშენებლობასთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება (შენიშვნა 12)	1,440	-	-	-	-	1,440
სხვა კრედიტორული დავალიანება (შენიშვნა 12)	395	-	-	-	-	395
სულ სამომავლო გადახდები	1,835	-	-	-	-	1,835

პერიოდის განმავლობაში გამოყენებულ იქნა შემდეგი სავალუტო კურსები:

სავალუტო კურსები	2018 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის		2017 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის	
	საშუალო	საბოლოო	საშუალო	საბოლოო
USD / GEL	2.5345	2.6766	2.5086	2.5922
CHF / GEL	1.1665	2.7268	2.5466	2.6584
EUR / GEL	3.3812	3.0701	2.8322	3.1044

20 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა, შეფასების კატეგორიის მიხედვით

შეფასების მიზნებისთვის ფასს 9-ში, „ფინანსური ინსტრუმენტები“ ფინანსური ინსტრუმენტები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: (ა) მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული (FVTPL) ფინანსური აქტივები; (ბ) სხვა სრული შემოსავლის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული (FVOCI) სავალ ინსტრუმენტები, (გ) სხვა სრული შემოსავლის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული (FVOCI) წილობრივი ინსტრუმენტები და (დ) ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები. მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებულ (FVTPL) ფინანსურ აქტივებს ორი ქვეკატეგორია აქვს: (i) აქტივები, რომელთა FVTPL-ით შეფასება სავალდებულოა და (ii) აქტივები, რომელთაც ეს კლასიფიკაცია ენიჭებათ თავდაპირველი შეფასებისას ან შემდეგ. ამასთან, ფინანსური საიჯარო მოთხოვნები ცალკე კატეგორიას ქმნიან. 2018 წლის 31 დეკემბერს კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულის კატეგორიას მიეკუთვნებოდა და კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულებაც ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხებოდა.

შეფასების მიზნებისათვის 2017 წლის 31 დეკემბერს ბასს 39-ით, „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“, ფინანსური აქტივები დაჯგუფებული იყო ოთხ კატეგორიად: (ა) სესხები და მოთხოვნები (დებიტორული დავალიანებები); (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები და (გ) მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები. მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებს თავის მხრივ ორი ქვეკატეგორია გააჩნიათ: (i) აქტივები, რომელთაც ეს კლასიფიკაცია ენიჭებათ საწყისი შეფასებისას, და (ii) სავაჭროდ გამიზნულად კლასიფიცირებული. ამასთან, ფინანსური იჯარის დებიტორული დავალიანება ქმნის ცალკე კატეგორიას. 2017 წლის 31 დეკემბერს კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი ხვდებოდა სესხებისა და

დებიტორული დავალიანებების კატეგორიაში და კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება აღრიცხული იყო ამორტიზებული ღირებულებით.

21 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის ხშირი ცვლილებებით, ახალი ოფიციალური დოკუმენტების გამოცემითა და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გარკვევით ჩამოყალიბებული არ არის, წინააღმდეგობრივია და სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ. თუმცა, რისკები, რომელიც დაკავშირებულია ნებისმიერი გადასახადის, რომელიც ვრცელდება კომპანიაზე ან მის აქციონერზე (მათ შორის წყაროსთან დაკავებული გადასახადი აქციონერებისთვის დივიდენდების განაწილებისას ან პოტენციური კრედიტორებისთვის დასაფარი თანხების გადახდისას) მიღებასთან, გავრცელებასთან, ძალაში შესვლასთან, მოდიფიცირებასთან, შეცვლასთან, გაზრდასთან, გაუქმებასთან, ინტერპრეტირებასთან, ხელახლა ინტერპრეტირებასთან ან გამოყენებასთან, შერბილებულია „განხორციელების შეთანხმებით“. მსგავსი მოვლენები „განხორციელების შეთანხმების“ მიხედვით ხდება „გადასახადის ცვლილების“ კატეგორიაში და თუ „გადასახადის ცვლილებას“ უარყოფითი გავლენა აქვს კომპანიის ან აქციონერის ამონაგებზე და/ან დანახარჯებზე იმ თანხით, რომელიც ტოლია ან აღემატება გადასახადის ზღვრულ თანხას, რომელიც განსაზღვრულია USD 100 ათასის ოდენობით, მაშინ საქართველოს მთავრობა ვალდებულია კომპანიას ტარიფის გაზრდით ან შესაბამისი თანხის ერთჯერადი გადახდით აუნაზღაუროს თანხა, რომელიც ტოლია დანახარჯების ზრდის და/ან ამონაგების შემცირების. გადასახადების მიმოხილვასა და მოკვლევას მრავალი სახელმწიფო ორგანო ახორციელებს, რომელთაც გააჩნიათ მკაცრი ჯარიმებისა და საურავების დაკისრების უფლებამოსილება. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია სათანადოა და კომპანიის საგადასახადო პოზიციები მდგრადია. კომპანიაში ამჟამად მიმდინარეობს 2015-2018 წლების საგადასახადო შემოწმება.

21 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

საგადასახადო ორგანოს მიერ გამოცემულ შუალედურ ანგარიშს არ ეთანხმება კომპანია და ის ჯერ კიდევ განიხილება სსიპ შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს მიერ. კომპანია არ მოელის დამატებითი გადასახადის და/ან ჯარიმების დაკისრებას, რაც არსებით გავლენას მოახდენს კომპანიაზე.

ვალდებულებები. 2018 წლის 31 დეკემბერს კომპანიას კონტრაქტორებისგან, GCC და კავკასიენერგო, მომდევნო ორი წლის განმავლობაში GEL 96,435 ათასის ღირებულების მომსახურების შესყიდვის ვალდებულება ჰქონდა:

	2018 წ. 31 დეკემბერს		
სახელშეკრულებო თანხები	გაზრდილი კაპიტალური ვალდებულებები	გასაწევი სახელშეკრულებო ვალდებულებები დარჩენილი სამშენებლო პერიოდისთვის	
ათასი აშშ დოლარი	46,049	10,020	36,029
ათასი ქართული ლარი*	123,255	26,820	96,435

* 2018 წლის 31 დეკემბრისთვის გაწეული კაპიტალური ვალდებულებები წარმოადგენს დანახარჯების ეკვივალენტს ლარში, გადაყვანილს ოპერაციების თარიღებით არსებული სავალუტო კურსით. გასაწევი სახელშეკრულებო ვალდებულებების კლასიფიკაციის მქონე თანხები გადაყვანილია წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსით.

დაზღვევასთან დაკავშირებული გაუთვალისწინებელი მოვლენები. საქართველოში სადაზღვევო ინდუსტრია განვითარების ეტაპზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა, რომელიც მსოფლიოს სხვა

ქვეყნებში გავრცელებულია, საზოგადოდ ხელმისაწვდომი ჯერ არ არის. EPC Contract-ით განსაზღვრულია კომპანიისა და კონტრაქტორის პასუხისმგებლობები ხელშეკრულების ფარგლებში აშენებულ / დამონტაჟებულ ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული დაზღვევის შესყიდვასა და შენარჩუნებასთან. დაქირავებულ იქნა AON Korea Inc, რათა კომპანიას დახმარება გაუწიოს დაზღვევასთან / რისკის განაწილებასთან დაკავშირებით და რჩევების მისცეს კომპანიის მიერ შესაძენი სადაზღვევო პოლისების თაობაზე.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვით რეგულირების აღსრულება ვითარდება და მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივად გადაისინჯება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. ვალდებულებების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნან არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, თუმცა, შეიძლება არსებითი იყოს. არსებული აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულება.

სასამართლო დავები. ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას ზოგჯერ შეიძლება წარმოიქმნეს პრეტენზიები კომპანიის წინააღმდეგ. ხელმძღვანელობას, თავისი შეფასებებისა და ორივე, შიდა და გარე პროფესიული რჩევის საფუძველზე, მიაჩნია რომ პრეტენზიებთან დაკავშირებით არ წარმოიქმნება რაიმე არსებითი ზარალი რომელიც გადააჭარბებს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ანარიცხებს.

გარანტიები. EPC Contract-ის გაფორმებისას კომპანიამ წარმოადგინა შეთავაზების უზრუნველყოფა USD 3 მილიონის ოდენობით, რომელიც 2018 წლის 14 აგვისტოს გაგრძელდა 2019 წლის 31 აგვისტომდე.

22 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საზოგადოდ, მხარეები დაკავშირებულ მხარეებზე მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

მშობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე. 2018 წლის 31 დეკემბერს კომპანიის აქციონერები იყვნენ კ-წყალი და ფონდი. კ-წყლის ფინანსური ანგარიშგება საჯაროდ ხელმისაწვდომია კორეის სახელმწიფო ან ნახევრად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების ბუღალტრული აღრიცხვის წესებისა და სტანდარტების შესაბამისად. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა კორეის მთავრობა (92.1 %-ის მფლობელი), ხოლო კორეის განვითარების ბანკი აქციების 7.8%-ს ფლობს, დარჩენილ 0.1% კი კორეის რესპუბლიკის ადგილობრივ მთავრობას ეკუთვნის. ფონდის საბოლოო აქციონერი და 100% აქციების ერთადერთი მფლობელია საქართველოს მთავრობა. კომპანიის ამჟამინდელი აქციონერების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ 22-ე შენიშვნა.

ძირითადი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება. ძირითადი ხელმძღვანელი პირებისათვის სრულგანაკვეთიან ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობისთვის გადახდილი ანაზღაურება შედის პერსონალის დანახარჯებში, მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და შეადგენს GEL 1,197 ათასს (2017: GEL 1,139 ათასი). ძირითადი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება მოკლევადიანია თავისი ხასიათით.

ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან. კორეის განვითარების ბანკი (KDB) არის კორეის წყლის რესურსების კორპორაციის აქციონერი და მისი აქციების დაახლოებით 7%-ს ფლობს, ამიტომ KDB დაკავშირებულ მხარედ უნდა იქნეს მიჩნეული. კომპანიის მიერ პროექტისთვის დაფინანსების მოსაძიებლად გამართული მოლაპარაკებების ფინანსურ ასპექტებში KDB მონაწილეობს, როგორც ერთ-ერთი პოტენციური გამსესხებელი და 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიას არ გააჩნდა დარიცხული წინასწარ გადახდილი ფინანსური დანახარჯის ნაშთი (2017: GEL 89 ათასი).

23 შემდგომი მოვლენები

2019 წლის 1 იანვრიდან კომპანიამ მოიპოვა საკუთრების უფლება და მშენებლობის უფლება 10 მიწის ნაკვეთზე, რომლებიც შეძენილ იქნა პროექტის ფარგლებში სამშენებლო სამუშაოების მიზნებისთვის.

კომპანიის მიერ „შეწყვეტისა და ანგარიშსწორების შეთანხმების“ (“TSD”) ფარგლებში გადაცემული აქტივები და ჩანაცვლებული ქვე-ხელშეკრულებების ფარგლებში კომპანიისთვის გადაცემული, USD 13,935 ათასის ღირებულების მქონე უფლებები და მოვალეობები კომპანიას გადაეცა და კომპანიამ მიიღო 2019 წლის პირველ ნახევარში. მსგავსი აქტივები საჭირო და აუცილებელია პროექტის ფარგლებში სამშენებლო სამუშაოებისთვის, ამიტომ ისინი ექვემდებარება გადაცემას / გაყიდვას ახალ EPC Contractor-ზე, როდესაც ის შეირჩევა.

2019 წლის 30 მაისს კომპანიის აქციონერების მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ფონდმა დამატებითი შენატანი გააკეთა კომპანიის კაპიტალში, USD 3,000 ათასის ოდენობით. უახლოეს მომავალში კომპანიამ უნდა გამოუშვას და განათავსოს ჩვეულებრივი აქციები, ზემოაღნიშნული კაპიტალში შენატანის შესაბამისი ოდენობით.

2019 წლის 28 იანვარს კომპანიამ და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ გააფორმეს თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის საფუძველზე, სხვა საკითხებთან ერთად, მხარეები ადასტურებენ, რომ: (i) „განხორციელების შეთანხმების“ ვადები და სხვა ძირითადი პირობები შეიძლება გადაისინჯოს და შეიცვალოს პროექტის განახლებული განხორციელების ვადების შესაბამისად, ახალი EPC-ის მიერ პროექტის ახალი მშენებლობის განრიგის ჩათვლით; (ii) კომპანიას სურს „განხორციელების შეთანხმების“ პირობების გადასინჯვა და შეცვლა, რათა განისაზღვროს

საქართველოს მთავრობისა და კომპანიის პასუხისმგებლობები ადგილობრივი თემისა და არა-სამთავრობო ორგანიზაციების მიერ სამშენებლო მოედანზე წარმოქმნილი ხელმისაწვდომობის, კუთვნილების, უშიშროებისა და უსაფრთხოების პრობლემებთან დაკავშირებით.

24 სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ვრცელდებოდა შესადარის პერიოდზე, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს და რომელიც შეიცვალა ფასს 9-ით და ფასს 15-ით, გახლდათ შემდეგი.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. კლასიფიკაციის მიხედვით ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ქვემოთ არის აღწერილი.

რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიური ბაზარი გახლავთ ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებითაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, ფასდება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გამრავლებით საწარმოს მიერ ფლობილ რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა არ არის საკმარისი ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე.

შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან თავისუფალ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგებები ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება, გამოიყენება იმ კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემები დაკვირვებადია, პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ინფორმაცია).

გარიგების დანახარჯები გახლავთ ზრდადი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. ზრდადი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავენ სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ, როგორც გაყიდვების აგენტები) გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და აგრეთვე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავენ სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობის დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდა საწყისი აღიარებისას, შემცირებული ძირითადი თანხის ნებისმიერი გადახდით, მიმატებული დაგროვილი პროცენტი, და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მიღებული გაუფასურების ნებისმიერი ზარალით. დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის დარიცხული კუპონი და ამორტიზებული დისკონტი ან პრემია (მათ შორის წარმოშობისას გადავადებული საზღაური, თუ ასეთი არსებობს), ცალკე წარდგენილი არ არის და დაკავშირებული მუხლების საბალანსო ღირებულებებში ასახული არ არის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი, იმგვარად, რომ მიღწეულ იქნეს პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება შეფასებული სამომავლო ფულადი გადახდები ან ფულის მიღება (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, საჭიროებისამებრ, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყევ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსური აქტივების შემდეგი კატეგორიები არსებობს: (ა) სესხები და დებიტორული დავალიანება; (ბ) გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები; და (დ) მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები. მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებს თავის მხრივ ორი ქვეკატეგორია გააჩნიათ: (i) აქტივები, რომელთაც ეს კლასიფიკაცია ენიჭებათ საწყისი შეფასებისას, და (ii) სავაჭროდ გამიზნულად კლასიფიცირებული.

24 სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე (გაგრძელება)

სესხები და დებიტორული დავალიანება არკოტირებული, არაწარმოებული ფინანსური აქტივებია ფიქსირებული ან დადგენადი გადახდებით, გარდა იმ აქტივებისა, რომელთა ახლო მომავალში გაყიდვა აქვს განზრახული კომპანიას. კომპანიის სესხები და დებიტორული დავალიანება მოიცავს „სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებას“ და „ფულსა და ფულის ეკვივალენტებს“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსურ ვალდებულებებს შემდეგი შეფასების კატეგორიები გააჩნიათ: (ა) სავაჭროდ გამიზნული, რომელიც მოიცავს აგრეთვე ფინანსურ წარმოებულებს და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭროდ გამიზნული ვალდებულებები აღირიცხება რეალური ღირებულებით, როდესაც ღირებულების ცვლილება წლის მოგებაში ან ზარალში აღიარდება (როგორცაა მაგალითად ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური დანახარჯები) მათი წარმოქმნის პერიოდში. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. კომპანიის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს „სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება. გასაყიდად ფლობილი ფასიანი ქაღალდები, წარმოებულები და მოგების ან ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, მიმატებული გარიგების დანახარჯები. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყისი აღიარებისას შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იგივე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები ან შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას.

ფინანსური აქტივების, რომელთა მიწოდება მოითხოვება რეგულირებით ან ბაზრის კონვენციით („ჩვეულებრივი“ შესყიდვები და გაყიდვები), გარკვეულ ვადებში შეძენა და გაყიდვა აისახება ვაჭრობის თარიღით, რაც გახლავთ თარიღი, როდესაც კომპანიამ აიღო ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულება. ყველა სხვა შეძენა აღიარდება მაშინ, როდესაც საწარმო გახდება მოცემული ინსტრუმენტის სახელმწიფო დებულებების მონაწილე მხარე.

ამონაგების აღიარება. ამონაგების აღიარების პოლიტიკა გასული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში გამჟღავნებული არ იყო, რადგან კომპანია ამონაგებს არ წარმოქმნის.

25 დამატებითი ფინანსური ინფორმაცია აშშ დოლარებში

წინამდებარე შენიშვნა ხელმძღვანელობამ მოამზადა კომპანიის ფინანსური ინფორმაციის აშშ დოლარებში ("USD") წარსადგენად.

ლარში გამოსახული ოპერაციები აშშ დოლარში გადაყვანილია ოპერაციის თარიღით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით. ლარში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები აშშ დოლარში გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების აშშ დოლარში გადაყვანიდან წარმოქმნილი სავალუტო შემოსულობები და ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ათასი აშშ დოლარი	2018 წ. 31 დეკემბერი	2017 წ. 31 დეკემბერი
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	105,659	48,010
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსი	23,523	19,548
არამატერიალური აქტივები	98	25
წინასწარ გადახდილი ფინანსური დანახარჯები	11,131	7,989
სულ გრძელვადიანი აქტივები	140,411	75,572
მოკლევადიანი აქტივები		
მარაგი	10	11
წინასწარგადახდილი და ანაზღაურებადი გადასახადები	3,992	2,762
გადახდილი ავანსი	94	45
ფული და ფულის ეკვივალენტები	14,785	21,828
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები	5,817	-
სულ მოკლევადიანი აქტივები	24,698	24,646
სულ აქტივები	165,109	100,218
კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	180,715	101,535
დაგროვილი დეფიციტი	(16,292)	(5,003)
სულ კაპიტალი	164,423	96,532
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
კრედიტორული დავალიანება	686	3,585
სხვა ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები		101
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	686	3,686

სს „ნენსკრა ჰიდრო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

სულ ვალდებულებები	686	3,686
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	165,109	100,218

25 დამატებითი ფინანსური ინფორმაცია აშშ დოლარებში (გაგრძელება)

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება			
ათასი აშშ დოლარი	2018	2017	
ამონაგები	-	-	
პერსონალის ხარჯები	(1,949)	(1,275)	
სხვა საოპერაციო ხარჯები	(6,624)	(2,417)	
საოპერაციო ზარალი	(8,573)	(3,692)	
წმინდა ფინანსური შემოსავალი	290	298	
ზარალი, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	(8,283)	(3,394)	
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-	
წლის ზარალი	(8,283)	(3,394)	
სხვა სრული შემოსავალი	-	-	
წლის სრული შემოსავალი, სულ	(8,283)	(3,394)	
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება			
ათასი აშშ დოლარი	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი დეფიციტი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2017 წ. 1 იანვარს	61,470	(1,609)	59,861
წლის ზარალი	-	(3,394)	(3,394)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის სრული ზარალი, სულ	-	(3,394)	(3,394)
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება	40,065	-	40,065
ნაშთი 2017 წ. 31 დეკემბერს	101,535	(5,003)	96,532
წლის ზარალი	-	(8,283)	(8,283)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის სრული ზარალი, სულ	-	(8,283)	(8,283)
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება	79,180	(3,008)	76,172
ნაშთი 2018 წ. 31 დეკემბერს	180,715	(16,292)	164,423

25 დამატებითი ფინანსური ინფორმაცია აშშ დოლარებში (გაგრძელება)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება ათასი აშშ დოლარი	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან თანამშრომლებისა და მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(7,339)	(5,935)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(7,339)	(5,935)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან ძირითადი საშუალებების შეძენა	(51,569)	(24,031)
წინასწარგადახდილი ფინანსური დანახარჯებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(3,485)	(3,757)
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივების შესყიდვა	(2,848)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(57,901)	(27,788)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან სააქციო კაპიტალის გამოშვებიდან შემოსული ფულადი სახსრები	58,193	40,065
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	58,193	40,065
სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	4	8
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	21,828	15,478
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასასრულს	14,785	21,828